N227 2015 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ზოგიერთი ნორმატიული აქტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის №305 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ზოგიერთი ნორმატიული აქტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 აპრილის №305 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/04/2014, 130030000.10.003.017925) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის (დანართი №1) 2.3.7. და 2.3.8. ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.3.7. ინფორმაცია შესაბამისი სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობის მქონე, სამხედროვალდებულ პირთა კრებსითი მონაცემების შესახებ;

2.3.8. ინფორმაცია იმ რეზერვისტთა კრებსითი მონაცემების შესახებ, რომლებიც გადიან სამხედრო შეკრებას;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**